

**საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის”  
დეკლარაცია**  
**დღიურ ვაჭრობასთან და კლიენტის აგრესიულ საბაზრო  
სტრატეგიასთან დაკავშირებული რისკების შესახებ**

*წინამდებარე დეკლარაცია დღიურ ვაჭრობასთან და კლიენტის აგრესიულ საბაზრო სტრატეგიასთან დაკავშირებული რისკების შესახებ (შემდგომში დეკლარაცია) წარმოადგენს საბროკერო კომპანია „რიონი კაპიტალის“ (შემდგომში კომპანია) კლიენტების მომსახურების რეგლამენტის (შემდგომში „რეგლამენტი“) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.*

წინამდებარე დეკლარაცია აღწერს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია დღიურ ვაჭრობასთან და კლიენტის აგრესიულ საბაზრო სტრატეგიასთან და განკუთვნილია შაბლონური ტრეიდერის (Πατερν Δαψ Τραδερ) ანგარიშის მქონე კლიენტებისთვის. წინამდებარე დეკლარაციის მიზანია, გააფრთხილოს კლიენტი შესაძლო ზარალის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია დღიურ ვაჭრობასთან და კლიენტის აგრესიულ საბაზრო სტრატეგიასთან.

დღიური ვაჭრობა და აგრესიული საბაზრო სტრატეგია შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც მაღალი რისკის მქონე სავაჭრო ქცევა, თუ პორტფელის ტრანზაქციული აქტივობა, პოზიციების გახსნა/დახურვის სიხშირე და რისკ-პარამეტრები შეესაბამება კომპანიის შიდა რისკ-მოდელებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ბროკერი უფლებამოსილია განახორციელოს პორტფელის რისკ-პროფილის შეფასება სარისკო სტრატეგიების გამოვლენის მიზნით, რისკების მართვის სისტემის ფარგლებში.

1. დღიური ვაჭრობა და აგრესიული სავაჭრო სტრატეგიები ხასიათდება მაღალი ვოლატილობით, პოზიციების სწრაფი გახსნა-დახურვით, ფასების მკვეთრი ცვლილებებით, შესრულების შეფერხებებითა და ბაზრის გაპებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი და სწრაფი ფინანსური ზარალი.
2. დღიურ ვაჭრობასთან და აგრესიულ სავაჭრო სტრატეგიებთან დაკავშირებული რისკები:
  - **მაღალი ვოლატილობა და ფასების სწრაფი ცვლილებები** - დღიური ვაჭრობა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი და სწრაფი ფინანსური დანაკარგები ბაზრების მაღალი ვოლატილობის, ფასობრივი გაპების და შესრულების დაგვიანების გამო;
  - **გაზრდილი საკრედიტო და მარჟინალური რისკი** - საკრედიტო მხარის გამოყენება ზრდის Margin Call-ისა და Margin Close-Out-ის ალბათობას. რისკები განსაკუთრებით იზრდება პოზიციების ხშირი შეცვლისა და უზრუნველყოფის დონის არასაკმარისი კონტროლის შემთხვევაში;
  - **ტექნოლოგიური და ოპერაციული რისკები** - სისტემური დაგვიანებები, სავაჭრო პლატფორმებზე მაღალი დატვირთვა და ინფრასტრუქტურული მოვლენები შეიძლება ხელს უშლიდეს პოზიციის დახურვას მოსალოდნელ ფასზე;
  - **შედეგის დაბალი პროგნოზირებადობა** - აგრესიული დღიური სტრატეგიები მოითხოვს გამოცდილებას, მაღალ კონცენტრაციას და რისკ-მოდელების სრულფასოვან გააზრებას. პრაქტიკაში მომხმარებელთა უმრავლესობა განიცდის დანაკარგებს ხშირი დღიური ვაჭრობისას;
  - **მაღალი ტრანზაქციული ხარჯები** - ხშირი ოპერაციები ზრდის ჯამურ საკომისიოებს და შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს მომხმარებლის ფინანსური დანაკარგები.
3. იმ ანგარიშებს, რომლებიც არ აკმაყოფილებენ 25,000 აშშ დოლარის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას, ბროკერი ხელს შეუშლის ნებისმიერი დამატებითი დღიური ვაჭრობის განხორციელებაში სამი (3) დღიური ვაჭრობის შემდეგ ხუთი (5) დღის განმავლობაში, რათა: თავიდან აიცილოს იმ კლიენტების შაბლონურ ტრეიდერებად კლასიფიკაცია, რომლებიც არ აკმაყოფილებენ მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას, რამაც შეიძლება კლიენტის ანგარიშზე შეზღუდვების დაწესება გამოიწვიოს.

4. სანამ გადაწყვეტთ აგრესიული სავაჭრო სტრატეგიის არჩევას და შაბლონური ტრეიდერის ანგარიშის კვალიფიკაციის მიღებას, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:
- 3.1. წინამდებარე დეკლარაციის მიზნებისათვის, „დღიური სავაჭრო სტრატეგია“ ნიშნავს ზოგად სავაჭრო სტრატეგიას, რომელიც ხასიათდება კლიენტის მიერ ერთი და იგივე ფასიანი ქაღალდების როგორც შესყიდვების, ასევე გაყიდვების დღიური ბრძანებების რეგულარულად წარდგენით.
- 3.2. დღიური ვაჭრობა შეიძლება ძალიან სარისკო იყოს. როგორც წესი, დღიური ვაჭრობა შეუსაბამოა შეზღუდული რესურსების, შეზღუდული ინვესტიციების ან სავაჭრო გამოცდილების და რისკის დაბალი ტოლერანტობის მქონე პირებისთვის. მზად უნდა იყოთ დღიური ვაჭრობისას თქვენს მიერ გამოყენებული მთლიანი თანხის დაკარგვისათვის. კერძოდ, დღიური ვაჭრობა არ უნდა დააფინანსოთ საპენსიო დანაზოგებით, სტუდენტური სესხებით, იპოთეკით, გადაუდებელი გარემოებებისათვის განკუთვნილი და ისეთი მიზნებისთვის გადადებული სახსრებით, როგორიცაა განათლება ან სახლის შეძენა, ან თქვენი საარსებო ხარჯების დასაფარად საჭირო სახსრებით. გარდა ამისა, ზოგიერთი მონაცემით მტკიცდება, რომ 50,000 აშშ დოლარზე ნაკლები რაოდენობის ინვესტიცია მნიშვნელოვნად ამცირებს დღიური ტრეიდერის უნარს, მიიღოს მოგება. რა თქმა უნდა, არც 50,000 აშშ დოლარის ან მეტის ინვესტიცია არანაირად არ იძლევა წარმატების გარანტიას.
- 3.3. ფრთხილად იყავით დღიური ვაჭრობიდან დიდი მოგების მიღების დაპირებასთან. ფრთხილად უნდა იყოთ რეკლამების ან სხვა განცხადებების მიმართ, რომლებიც ხაზს უსვამს დღიური ვაჭრობიდან დიდი მოგების მიღების პოტენციალს. დღიურმა ვაჭრობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს დიდი და მყისიერი ფინანსური ზარალი.
5. დღიური ვაჭრობა მოითხოვს ფასიანი ქაღალდების ბაზრების, სავაჭრო ტექნიკებისა და სტრატეგიების ღრმა ცოდნას. დღიური ვაჭრობიდან მოგების მიღებისკენ სწრაფვისას, თქვენ უნდა შეეჯიბროთ ბაზარზე მოქმედ პროფესიონალ, ლიცენზირებულ ტრეიდერებს. დღიური ვაჭრობის დაწყებამდე აუცილებელია შესაბამისი გამოცდილების ქონა.
6. დღიური ვაჭრობა მოითხოვს ბროკერის ოპერაციების ცოდნას. თქვენ უნდა იცნობდეთ ბროკერის ბიზნეს პრაქტიკას, მათ შორის ბრძანების შესრულების ბროკერის სისტემებისა და პროცედურების ფუნქციონირებას. გარკვეულ საბაზრო პირობებში, შეიძლება გაგიჭირდეთ ან შეუძლებელიც კი იყოს თქვენი პოზიციის გონივრულ ფასად სწრაფად ლიკვიდაცია. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, როდესაც საფონდო ბირჟა მოულოდნელად ეცემა, ან თუ ვაჭრობა შეჩერებულია ბოლო ახალი ამბების ან უჩვეულო სავაჭრო აქტივობის გამო. რაც უფრო არასტაბილურია აქტივი, მით უფრო სავარაუდოა, რომ ტრანზაქციის შესრულებისას პრობლემები შეიქმნას. ჩვეულებრივი საბაზრო რისკების გარდა, თქვენ შეიძლება ზარალი განიცადოთ სისტემის გაუმართაობის გამო.
7. დღიური ვაჭრობა გამოიწვევს მნიშვნელოვან საკომისიო ხარჯებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი ტრანზაქციის ღირებულება დაბალია. დღიური ვაჭრობა გულისხმობს აგრესიულ ვაჭრობას და თქვენ, როგორც წესი, საკომისიოს იხდით ყველა ტრანზაქციაზე. მთლიანი დღიური საკომისიო, რომელსაც ტრანზაქციისთვის იხდით, ან გაზრდის თქვენს ზარალს ან მნიშვნელოვნად შეამცირებს თქვენს მოგებას.
8. ბროკერი უფლებამოსილია, სისტემატური ინტრადეი ვაჭრობის ან აგრესიული სტრატეგიების გამოყენების შემთხვევაში, გამოიყენოს რისკის შემცირების ზომები კლიენტის პორტფელთან მიმართებით, მათ შორის:

- ინტრადეი ოპერაციების რაოდენობის შეზღუდვა;
- მოკლე გაყიდვებისა და მარჟინალური ოპერაციების აკრძალვა;
- მაღალი ვოლატილობის მქონე ინსტრუმენტებზე წვდომის შეზღუდვა;
- პორტფელის გადაყვანა უფრო კონსერვატიულ Risk Group-ში.

აღნიშნული შეზღუდვები გამოიყენება კლიენტის დაცვისა და რისკების მართვის სისტემის (CYP) მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

9. მარჟით ვაჭრობა და მოკლე გაყიდვები (short selling) დღიური სტრატეგიების ფარგლებში ზრდის საკრედიტო და მარჟინალურ რისკს და შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები, რომლებიც აღემატება კლიენტის საწყის ინვესტიციას.

კრედიტული მხრის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს Margin Call და Margin Close-Out, განსაკუთრებით ხშირი პოზიციური ცვლილებებისა და არასაკმარისი უზრუნველყოფის პირობებში.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიზნად ისახავს, მისცეს რეკომენდაცია კლიენტს, რომ გულდასმით განიხილოს, არის თუ არა მისთვის მისაღები, კლიენტის საინვესტიციო მიზნებისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, დღიურ ვაჭრობასთან და კლიენტის აგრესიულ საბაზრო სტრატეგიასთან დაკავშირებული რისკები. ეს დეკლარაცია არ ისახავს მიზნად, კლიენტს ხელი შეუშალოს ასეთი ტრანზაქციების განხორციელებაში, იგი გამიზნულია იმისათვის, რომ დაეხმაროს კლიენტს მათ შეფასებაში. კლიენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია გასაგებია მისთვის და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს განმარტება რიონი კაპიტალისგან ან შესაბამის საკითხებში სპეციალიზირებული კონსულტანტისგან.